

## მე-10

1.  $P$  ნატურალური რიცხვის 4-ზე გაყოფისას მიიღება ნაშთი 3. რა ნაშთი მიიღება  $P + 5$  - ის 4-ზე გაყოფისას?

- A. 0                      B. 1                      C. 2 ან 0

2.  $A$  არის ყველა ციფრთა სიმრავლე.  $B$  არის ორნიშნა ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე. რამდენ ელემენტია  $A \cap B$  სიმრავლე?

- A. ცარიელია              B. 9                      C. 10

3.  $f(x) = \sin x$  ფუნქციის გრაფიკი სიმეტრიულია:

- A.  $x$  ღერძის მიმართ  
B.  $y$  ღერძის მიმართ  
C.  $(0,0)$  წერტილის მიმართ

4. მრავალკუთხედის შიდა გუთხეების ჯამი არის 180 გრადუსი. რამდენია ამ მრავალკუთხედის წვეროებისა და წიბოების ჯამი?

- A. 3                      B. 6                      C. 8

5. მართკუთხა სამკუთხედის კათეტი 8 და ჰიპოტენუზა 17. იპოვეთ სამკუთხედის პერიმეტრი.

- A. 15                      B. 33                      C. 40

6. ტოლფერდა ტრაფეციის ფუძეები 19-ისა და 12 -ის ტოლია. ფერდების მართობულად მოჭრის შემდეგ მიიღეს კვადრატი. რის ტოლი იქნება ამ კვადრატის ფართობი?

A. 228

B. 156

C. 144

7. რის ტოლია იმ კუბის მოცულობა, რომლის ერთი გვერდის ფართობი 16-ს უდრის:

A. ვერ დავადგენთ

B. 64

C. 256

8. რომელ ფიგურას არ აქვს წახნაგი?

A. პარალელებიპედს

B. ბირთვის

C. პირამიდას

9. როგორია  $8Z + 12 + 226K - 6Y$ , სადაც Z, K და Y ნატურალური რიცხვებია?

A. ყოველთვის ლუწი

B. ყოველთვის კენტი

C. ვერ დავადგენთ

10. რიცხვი  $(M^2 + 22 - 1)$  მთელი რიცხვის კვადრატია. რამდენი დადებითი მთელი M-ისათვისაა ეს მოცემულობა ჭეშმარიტი?

A. 0

B. 1

C. 2